მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება N58

ქ. ზუგდიდი

12 დეკემბერი 2019 წ.

ერთი მხრივ **სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გოგი თოდუა** სახით და მეორე მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის **კოტე მიქაიას** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს!" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (CPV-79700000), კერძოდ, **სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახის** (შემდგომში-ობიექტი) დაცვა (რომელიც მდებარეობს მისამართზე: .ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფ.რუხი), ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ;

1.2 ,,ობიექტის" დაცვა განხორციელდება ,,შემსყიდველის" მიერ ,,ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და ,,მიმწოდებლის" მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3. ,,ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დპ სამმართველო.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 დაცვის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **480** (ოთხასოთხმოცი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

2.2 დაცვის მომსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

2.4 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2.5 დაცვის მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური დპ სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, უზრუნველყოს ობიექტზე მის საკუთრებაში არსებული: რადიო გადამცემის, რადიო მიმღებ-გადამცემი მოწყობილობის, რადიო გადამცემის ყუთის, რადიო გადამცემის პლატის მონტაჟი-ინსტალაცია შემსყიდველის ობიექტზე;

3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) წუთისა მოახდინოს ,,ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, ,,ობიექტზე" მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს" და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.3 ,,შემსყიდველს" ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.4 სიგნალ ,,განგაშის" მიღებისას, ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად, გამოიძახოს ,,შემსყიდველი" ან ,,ობიექტის" მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

3.1.5 არ მიიღოს ,,ობიექტი" დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები, რომელთა გამოც, ,,მიმწოდებლისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით, არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც ,,შემსყიდველს" ეცნობება წინასწარ;

3.1.6 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია ,,მიმწოდებლის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა ,,შემსყიდველის" დაუდევრობამ.

,,შემსყიდველი" ვალდებულია:

3.2.1 ,,ობიექტის'' დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი (ნდობით აღჭურვილი) პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 განგაშის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" მისცეს დასაცავი ,,ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ,,მიმწოდებელს", დაელოდოს ,,მიმწოდებლის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;

3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს ,,მიმწოდებლის'' საკუთრებას და დაცვის განხორციელების მიზნით გადაცემულია ,,შემსყიდველისთვის'') განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, განსაზღვრული დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის ,,ბ" პუნქტით;

3.2.7 მხოლოდ ,,მიმწოდებლისათვის" შეთანხმებით გადასცეს პასუხისმგებელ (ნდობით აღჭურვილ) პირს ,,ობიექტზე'' შესვლის, სიგნალიზაციით სარგებლობისა და ხელშეკრულების 3.2.2, 3.2.3, 3.2.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.8 უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

3.2.9 არ დაუშვას "შემსყიდველის" მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება „მიმწოდებლის" წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" არ აგებს პასუხს ,,შემსყიდველის" თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და შემსყიდველისათვის მიყენებულ ზიანზე;

3.2.10 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ,,მიმწოდებელს";

3.2.11 სიგნალ ,,განგაშის" ან ტექნიკური ხარვეზის მიზეზების დადგენისა და ,,ობიექტის'' გახსნის მიზნით, თვითონ ან მისი უფლებამოსილი პირი გამოცხადდეს ,,ობიექტზე'', ,,მიმწოდებლის'' უფლებამოსილი დანაყოფისგან ან პირისგან შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა. ,,შემსყიდველის'' მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი'' იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

მუხლი 4. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.რუხის საჯარო სკოლის დირექტორი ----------.

4.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით;

5.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთ) პროცენტს, ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით;

6.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული

შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ კისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

6.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 7. მომსახურების მიღების ადგილი ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი: .ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფ.რუხი

7.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.3 ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით

მუხლი 8. ხელშეკრულების სხვა პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ,,ობიექტის" მოკვლევის აქტი და დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. ,,მიმწოდებელი'' უფლებამოსილია ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს "შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას და ადასტურებდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელობის ხელისმოწერა.

8.3. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია, ზიანის დადასტურების შემთხვევაში, ხელშეკრულების 3.2.6 ქვეპუნქტში მითითებული თანხის გადახდა უზრუნველყოს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები ხუთი დღით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

8.5. ,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.6. ,,მიმწოდებელი" ობიექტის დაცვის მომსახურეობის შეწყვეტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელებს 3.1.1 ქვეპუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს ,,მიმწოდებლის'' საკუთრებას და დაცვის განხორციელების მიზნით გადაცემულია ,,შემსყიდველისათვის'') შემოწმებას და დემონტაჟს;

8.7. ,,შემსყიდველის'' მოთხოვნის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გასცეს მასზე დამატებითი ერთჯერადი ოთხნიშნა კოდი (შემდგომში - კოდი);

8.8. ,,შემსყიდველის" მიერ კოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევა ან შეღწევის მცდელობა ხორციელდება ,,შემსყიდველზე" ან მის უფლებამოსილ პირზე მათი სიცოცხლის და/ან ჯანმრთელობისათვის საშიში რეალური მუქარის საფუძველზე;

8.9. კოდის გამოყენების შემთხვევაში, იგი უქმდება და მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ახალი კოდი;

8.10. კოდის გაცემის ღირებულებაა 15 (თხუთმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, რომელსაც ,,შემსყიდველი" იხდის სააზონენტო გადასახადთან ერთად, ოთხნიშნა კოდის გადაცემისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

8.11. საჭიროების შემთხვევაში ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია ობიექტის გახსნის მიზნით, ობიექტის გასაღების დუბლიკატი შესაბამის კოდთან ერთად, მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს ,,მიმწოდებელს'';

8.12. მხარეები თანხმდებიან, რომ ,,მიმწოდებლის'' მიერ გასაღები გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიგნალ ,,განგაშის'' შემოსვლისას ვერ ხერხდება ,,შემსყიდველთან'' ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან დაკავშირება;

8.13. ,,შემსყიდველი'' აცხადებს წინასწარ თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 8.12 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გასაღების გამოყენება ჩაითვლება მართლზომიერ გამოყენებად და მას არ ექნება არანაირი პრეტენზია ,,მიმწოდებლის'' მიმართ;

8.14. ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია დროებით არ ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით (შემდგომში ,,ხელშეკრულების პასიურ მოქმედებად'' წოდებული), რაც გულისხმობს, ,,შემსყიდველის'' წერილობითი მომართვის საფუძველზე, ,,ობიექტის'' დროებით ცენტრალიზებული დაცვის პულტიდან გათიშვას;

8.15. წინამდებარე ხელშეკრულების 8.14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე, წერილობითი ფორმით აღნიშნულის შესახებ აცნობოს ,,მიმწოდებელს";

8.16. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების 8.15 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მომართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 დღის ვადაში, დროებით შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' შეწყვეტის შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე, წერილობითი ფორმით აღნიშნულის შესახებ აცნობოს ,,მიმწოდებელს";

8.18. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 8.17 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მომართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 2 დღის ვადაში, აამოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

8.19. ,,ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' პერიოდში, ,,მიმწოდებლის'' მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

8.20. ,,ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' მომსახურებაზე; ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

8.21. ხელშეკრულების პასიური მოქმედების პერიოდში ,,შემსყიდველი" პასუხისმგებელია ,,ობიექტზე'' დამონტაჟებულ აპარატურაზე;

8.22. სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

8.23. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

8.24. ,,შემსყიდველის" თანხმობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი'' უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტიდან ცდპ-ზე შემოსული ინფორმაციის (გახსნის, დაკეტვის და განგაშის) მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ,,შემსყიდველისათვის'' მიწოდებას, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე.

8.25. აღნიშნული მომსახურება ერთ ობიექტზე ერთ სატელეფონო ნომერზე უფასოა, ხოლო მომდევნო ტელეფონის ნომერზე თვეში შეადგენს 1 (ერთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

8.26. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება ,,შემსყიდველთან", ხოლო ერთი ,,მიმწოდებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,მიმწოდებელი''	,,შემსყიდველი''
შსს სსიპ– სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო ს/კ 211350928 ქ. ფოთი, მშვიდობის ქ.N6 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE 22, ა/ა 707117041 სამმართველოს უფროსი Kote Mikaia Digitally signed by Kote Mikaia DN: cn=Kote Mikaia, serialNumber=62009002463, o=Citizen, c=GE Date: 2019.12.12 15:17:22 +04'00' კ.მიქაია	სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა, ს/კ 220373584 საბანკო რეკვიზიტები: ტელ: 577177457 დირექტორი გოგი თოდუა